

საქართველოს კანონის პროექტზე
„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიზანშეწონილად მდგინდა სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული ან უმკვიდროდ დარჩენილი საცხოვრებელი სახლებისა და ბინების გასხვისება. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვალის N 107 დადგენილების შესაბამისად, ამდენად, მომზადდა ცვლილება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლში, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქონებაზე (სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული ან უმკვიდროდ დარჩენილი საცხოვრებელი სახლები და ბინები) გავრცელდება ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი პრივატიზების რეჟიმი.

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

„მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მინისტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს.

ზემოაღნიშნული კანონის ნორმიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მინისტრის მიერ ინიშნებოდეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ხელმძღვანელი და მის მიერვე მტკიცდებოდეს სააგენტოს დებულება და სტრუქტურა. შესაბამისად მომზადდა ცვლილება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში.

პროექტი მომზადებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.